

საქართველო

საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობის სპორტულ ტანვარჯიშში


ეროვნული გიგლიორთქვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო


Органа Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

Д Е Л О

83 (1238) სამშაბათი, 27 მაისი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 30 კაპ.



სურათზე: გასული წლის ჩემპიონების თბილისისა და ლანჩხუთის გუნდების კაპიტნები მ. ჯუღელი და ლ. ჩხაიძე მსაჯთა კოლეგიას აბარებენ თავებს. მარცხნივ ლ. შიროკიაა წონასწორობაზე ვარჯიშის დროს.



ფოტო მ. ბორაშვილისა.

საზოგადოებრივი ხელმძღვანელი საქციელის მუშაობა გალალ დონეზე

საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის მშადებლის ბერძენი, ძალიან ბევრი კაცის რესპუბლიკური კომიტეტის საზოგადოებრივმა ხელმძღვანელმა სექციებმა, უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა ნაკრები გუნდების წვრთნა და დაკომპლექტება, ხათანადო რეზერვის მშადებლებზე ზრუნვა. არც სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ შეუწყვეტიათ სექციებს საქმიანობა. განსაკუთრებით გამოცოცხლება დაეტყო მათ მუშაობას ახლა, როდესაც რესპუბლიკაში შემოღებულ იქნა შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მაისისათვის ძირითადი შემადგენლობისა

კლუბი	თ.	მ.	გ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“	11	5	3	3	10:10	13
„სპარტაკი“	8	4	4	0	22:10	12
„ტორპედო“	8	3	5	0	21:11	11
„ილოკომოტოვი“	8	3	4	1	13:8	10
„ილინაშო“ თბ.	10	4	2	4	18:25	10
„ილინაშო“ კ.	8	2	5	1	15:10	9
„ილინაშო“ მ.	8	3	2	3	12:8	8
„სსსკ მო“	7	3	2	2	11:6	8
„შენიტი“	7	2	2	2	8:10	7
„ქრ. სოვეტოვი“	10	1	5	4	7:14	7
„აღმირალტ.“	11	3	0	8	17:30	6
„მოლოდოვა“	10	0	5	5	12:22	5

კიშინოვი, 25 მაისი. (ტელეფონით). დღეს აქ რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „მოლოდოვამ“ მიიღო თბილისის „ილინაშო“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

თუ იმ სახეობის ნადებს, რომ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ტარდება ყველა მასშტაბის შეჯიბრება, ინერგება სიახლენი წვრთნაში, მსაჯობაში, მყარდება დისციპლინა გუნდებსა და ცალკეულ სპორტსმენთა შორის და სხვ., იციც და სწორედ ამიტომ უკველებრივ ცდილობს მათ ორგანიზაციულად განმტკიცებას, ავტორიტეტის ამაღლებას.

სიახლოებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მებრძოლი გაიზარდა იმ საკითხთა სფერო, რომელთაც იბილავენ სექციები. მათ დღის წესრიგში სწრაფად დგას სპორტის მასობრიობის, სპორტსმენთა მორალური აღზრდისა და სხვა აქტუალური საკითხები. სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფეხბურთის (თავმჯდომარე გ. ჯინქარაძე), ჩოგბურთის (თავმჯდომარე მ. გ. კანდელია), ალპინიზმის (თავმჯდომარე ნ. კეცხოველი), კალაბურთის (თავმჯდომარე ა. კირაქაძე), ქართული ჭიდაობის (თავმჯდომარე მ. ბერბელიძე), მაგიდის ჩოგბურთის (თავმჯდომარე მ. ივაშვილი), ავტაცია-პროპაგანდის (თავმჯდომარე ა. ჯეღანიძე) სექციები. ბოლო ხანებში მუშაობა გამოცოცხლებამდღესობის (თავმჯდომარე დ. იოსელიანი), ტანვარჯიშის (თავმჯდომარე ნ. მეიფარიანი), სპორტული ნაგებობის (თავმჯდომარე ჩიკვაძე) სექციებში. მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგან ისეთი სავალალო მდგომარეობა ვაქვს, რომ ენა ვერ იტყვის. საერთოდ ყველა სექციის ერთი ნაკლი ახასიათებს — მუშაობაში არ არის ჩაბმული სექციის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები — მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია, ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმი დიდ მუშაობას ეწევა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს მთელი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, სწორედ

ამის მიზეზია, რომ ბევრი მეთოდური საკითხი წლობით გადაუტრიალია და რაიონებში მომუშავე მწვრთნელები მოკლებული არიან სასწავლო-სამწვრთნელ პროცესში უკანასკნელ წლებში დაწერგულ სიახლეებს.

კრივის, ნიჩბოსნობის, პერობატიკის, ჭიდაობისა და სხვა სექციების პრეზიდიუმები თვითონ აკეთებენ მსაჯთა კოლეგიებისა და მწვრთნელთა საბჭოების საქმეს, ისინიც მიევიწყენ უმოქმედობას, არ აქვთ საშუალო გეგმა და სხვ. ბევრს არაფერს აკეთებს ცურვის სექცია. თუ გადავხედავთ ჩატარებული სხლომების ოქმებს, შევამჩნევთ, რომ მათ შეჯიბრებათა ჩატარების, მსაჯთა დანიშვნისა და მწვრთნელთა დაჯილდოების მეტი არაფერი აინტერესებთ, ხოლო ძირითადი საკითხი — სპორტის მასობრიობა ერთხელაც არ განვიხილავთ.

მდგომარეობა, სხვა საოლქო, საქალაქო და რაიონულ სექციებშიც ამიტომ ადგილებზე მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები. მოსარიდებელი არაფერია, სექცია, რომელიც წლობის განმავლობაში არაფერს აკეთებდა, უნდა გადავიჩინოთ, ხოლო ზოგიერთი ახალი წევრებით გავაძლიეროთ.

ახლა, სპარტაკიადის მშადებლის პერიოდში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. სწორედ სექციების უპირველესი მოვალეობაა ფართოდ დაწერგოს წვრთნის ახალი მეთოდები, შეისწავლოს, შეამოწმოს მოძველებული რესპუბლიკების გამოცდილება და განაზოგადოს იგი, ძირფესვიანად გარდაქმნას მწვრთნელთა საბჭოებისა და მსაჯთა კოლეგიების საქმიანობა, იბრძოლოს სპორტსმენთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ სექცია მართო შეჯიბრებათა ჩასატარებლად კი არ არის არჩეული, არამედ მან უნდა უხელმძღვანელოს რესპუბლიკაში სპორტის მასობრიობას და, რაც მთავარია, უკველებრივ შეუწყოს ხელი შეჯიბრებათა, ახალი სისტემის მასშტაბში რაც შეიძლება დრმად დანერგვას.

დიდი მოვალეობა აკისრია სექციათა საბჭოს. მან რეგულარულად უნდა მოაწიოს თავისი სხლომები, განიხილოს ცალკეულ სექციათა მუშაობისა და რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ახლოვდება, ახლოვდება ჩვენი მთელი მუშაობის გენერალური შემოწმების დღეები, საქიროა მშადებელი, ენერგიული, მეთოდური, შემოქმედებითი, რათა შენარჩუნებული და გავრდილ იქნას წინა სპარტაკიადზე მოპოვებული შედეგები. ამ ამოცანის წარმატებით გადასაქრელად მუშაობაში უნდა ჩაებათ ყველა და პირველ რიგში — ხელმძღვანელი სექციები. ამიტომ, ყოველი მათგანი უნდა იეოს მტკიცებრივად მოქმედებისა და სათანადო ცოდნით აღჭურვილი.

სპორტული გეგმის განხილვის საიუბილეო კონკრასი

როგორც პრესა იუწყება, 28 მაისს, მოსკოვში, სახელმწიფო ფიზკულტურის საბჭოს დახმარებით შეიქმნა დაიწყებულ სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაციის XII საიუბილეო კონგრესი, რომელიც ამ ორგანიზაციის არსებობის 30 წლისთავს აღნიშნავს. თავისი არსებობის მანძილზე სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტული და ფიზკულტურული მოძრაობისათვის დიდ მნიშვნელობას აქტუალური საკითხები გააშუქა და მებრძოლ მჭირფასი მშადებელი დააგროვა. ამჟამად იგი სხვადასხვა ქვეყნის 28 ეროვნულ ფედერაციის აერთიანებს, რომელთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვათა სპორტული მედიცინის ეროვნული ორგანიზაციები. საერთაშორისო ფედერაციის XII კონგრესის ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს ჯანმრთელობის სამინისტროები, მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, სპორტული მედიცინის სექცია და სხვა დიდი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებანი. კონგრესის დღის წესრიგშია სპორტული მედიცინის აქტუალური საკითხები: სპორტსმენის ორგანიზმის წვრთნისა და გადაწვრთნის მდგომარეობა, ტანვარჯიში და სპორტული ფულ-ისლქარდეთა სისტემის დათვადებათა პროფილაქტიკისა და მუშაობის საშუალება, მკერდრეკემები და ქრანიოცელ ტრავმები, სულ წყაიბული იქნება 12 მოხსენება და 200-მდე ცნობა.

მოიხსნა, ნათელი შეიქმნა, რომ ისინი გაუბედავად, დამბულად ვარჯიშობდნენ, რაც ვარჯიშს სილამაზესა და გამოკვეთილობას უკარგავდა.

მომდევნო იარაღი იყო ბჯენითი ტომები, სადაც ყველას აჯობა მ. ჯუღელმა, რომელმაც 9,4 შეფასება მიიღო.

ლიდერთა ჯგუფში და საერთოდ ყველა მონაწილემ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა თავისუფალ ვარჯიშში.

„ნეფტიანიკი“ კვლავ დამარცხდა

თბილისის სკოლა და ბაქოს „ნეფტიანიკის“ მატჩის დასაწყისიდანვე ცხადი შეიქმნა სტუმრების ტაქტიკური ჩანაფიქრი: მოკლე და სწრაფი გადაცემებით გარღვევაზე გაეყვანათ აბილ-ზადე და სმირნოვი.


არმიულმა ალბო აულეს „ნეფტიანიკის“ გემის მათ მოკლე გადაცემებს დაუპირისპირეს გრძელი გადაცემები და სტადიონის მთელს სივრცეზე გაშლილი ფორმით შეუტრია ბაქოელთა კარს, რომელიც მალე მისაღები დამთავრდა.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე არმიულმა მიიღეს კუთხური დარტყმის უფლება. გათამაშდა ლამაზი კომბინაცია, რომელიც კარში ასევე ლამაზი დარტყმით დაგვირგვინდა.

მეორე ნახევარი წარუმატებლად დაიწყო მასპინძლებისთვის. ბაბაევმა აბილ-ზადეს კომბინაციის შემდეგ ბურთს დაუთვლა სმირნოვი, გაუსხტა მცველებს და ძლიერად დარტყა კარისაკენ.

გონგის შემდეგ თბილისელებმა მარჯვენა ფრთაზე წამოიწყეს კომბინაცია, ბურთი მიიღო კურტანნიძემ, მოატყუა მცველი და გვერდიდან ზუსტი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

ო. ივლიშვილი
ქუთაისი, 26 მაისი. (ტელეფონით). გუშინ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში.



სურათი: ნ. მაკალათია ღერძე ვარჯიშის დროს. ფოტო მ. შორაშვილისა.

რულა. სამწუხაროდ, მან დამსახურებული შეფასება ვერ მიიღო, რაშიც მსაჯთა ბრიგადის ვერ დავეთანხმებით.

ოსტატ ქალთა შორის სავალდებულო ვარჯიშებში დაწინაურდნენ: გ. შარაბიძე — 37,25, თ. ბეთანელი — 37,05, მ. ჯუღელი — 36,45.

უძლიერეს ვაჟთა ჯგუფში შეჯიბრება დაიწყო ტაიქით. ეს იარაღი ისეთივე ვაჟათვის, როგორც დვირტი ქალათვის. გასულ წლებში ამ

იარაღზე დაბალი მაჩვენებლებით გამოდიოდნენ ჩვენი ტანმოვარჯიშეები, ამჟამად მდგომარეობა საგრძობად შეიცვალა. მონაწილენი ვარჯიშებს ასრულებენ თამამად, ზუსტად, ამიტომ, რასაკვირველია, შეფასებაც მაღალი იყო.

მისუხად აღიმა, რომ სხვა იარაღთან შედარებით ორძელზე ნაკლებად რთული ვარჯიშებია შესასრულებელი, ჩვენი წაწყვინი სპორტსმენები ჯერ კიდევ სუსტად ფლო-

ბენ უკუტრიალს მკლავებზე და ჩამოხტობს, ორძელზე ლიდერობენ უ. ვარდაშვილი — 9,4, რ. კაჭხიძე, ა. ნარიშკინი — 9,3-9,3 ქულა. დაბალი შეფასებით აღინიშნა ოსტატთა გამოსვლა რგოლებზე და თავისუფალ ვარჯიშში. პირველ იარაღზე სპორტსმენები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ძალისმიერ ვარჯიშებს, როგორც არის წინასწორება გამართულ ხელბურთს და სწორედ იქ კარგად იხიანი ქულათა მნიშვნელოვან რაოდენობას.

შედარებით ძლიერად გამოიყურებოდნენ ჩვენი ოსტატები ბჯენით ტომებში და ღერძე ვარჯიშში.

ღერძე მალაღი შეფასება მიიღეს: ა. ნარიშკინი — 9,4, თ. ქორქიამ — 9,2, რ. კაჭხიძემ — 9 ქულა. ხტომებში დაწინაურდა ი. ამაშუკელი — 9,2-9-9 ქულა და აგრეთვე ნ. მაკალათია, თ. ქორქიამ, რ. პერტენავამ და ა. ნარიშკინი. ექვსი იარაღის შემდეგ ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა აღმოჩნდა თ. ქორქიას — 53,1, ნ. მაკალათიას — 52,2, რ. პერტენავას — 52 და ა. შ.

სავალდებულო ვარჯიშებში ყველაზე მაღალი შედეგია 9,55 (ქალბები) და 9,4 (ვაეებში), რაც იმაზე მეტყველებს, რომ მონაწილეთა მიერ სავალდებულო პროგრამა სა-

თანადოთ არ არის ათვისებული. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს თბილისის კოლექტივი.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.



გადადებული პარტიების გათამაშების დღეს, რომელიც შედგა X ტურის შემდეგ, შიშოვის ავადმყოფობის გამო მოხდა მხოლოდ შეიდი პარტიის დამთავრება.

საინტერესო დაბოლოებაში გადაიდო ბუსლავე-ლოლუას პარტია. ოსტატს ჰქონდა მხედარი და ოთხი პაიტი ლოლუას კუსა და ორი პაიკის წინააღმდეგ.

მოულოდნელად დამთავრდა გიორგი-ლომიათა პარტია. საყიბო პოზიციამ ლომიამ ვერ მოასწრა საკონტროლო სკვლების გავლენა (საათზე ალამი ჩამოუვარდა) და მას პარტია წაგებულად ჩაეთვალა.

ამ დღეს შედგა აგრეთვე წემბიონატის დასკვნითი, XVII ტურის გურგენიძე-გუგუას პარტია. საკმე იმამია, რომ 7 ივლისს ოსტატი გურგენიძე უნდა იყო სოფიანი (ბულგარეთი), სადაც იგი მიწვეულია საერთაშორისო ტურნირში, მონაწილეთა მისაღებად და ამიტომ გავუასთან პარტია მსაჯებმა მას ადრე ათამაშეს.

საინტერესო ეყო შეჯიბრება დამწყებ ტანმოვარჯიშეთა შორის, რომელთა რიცხვი 400-ს აღემატებოდა. მათთვის სპეციალურად შემუშავებული ვარჯიშები მომზადდა მქონე ტანმოვარჯიშეების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა.

გოგონებს შორის პირველი ადგილი წილად ზედა სპორტის ოსტატს მ. ნინოშვილს (67,9). აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ნინოშვილი ამ შეჯიბრებაზე შედარებით სუსტად გამოიყურებოდა.

თ. სანელიძე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სსრკ-ის პირველი პირველი

18 მაისს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

პირველი ჯგუფის I ზონა
რუსთავეის „მეტალურგმა“ თავის მოედანზე მიიღო რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი თბილისის ტს-ი. მატჩი ჩატარდა დაძაბულად.

თელავის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი და განიცადა დამარცხება — 3:6.

ქუთაისში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშობდა სტალინის „სპარტაკი“. მატჩი ჩატარდა მასპინძლების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

თბილისში ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლის გუნდმა ჩაატარა შეხვედრა გორის „განთიადთან“ და გაიმარჯვა — 2:0.

ქობულეთში ადგილობრივი „კოლმეურნემა“ მიიღო სოხუმელი დინამოელები. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 1:0.

მეორე ზონა
პირველი დამარცხება განიცადა ამ ზონის ლიდერმა ქუთაისის „ტორპედომ“ ფოთში ადგილობრივ გუნდთან — 0:2.

ბათუმის „დინამომ“ მიიღო ზუგდიდის „ოლიმპი“ და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 3:1.

მთავარად მნიშვნელოვანია „კოლმეურნესა“ და თბილისის 26 კომისრის სხ. ჩაიონის ფეხბურთელთა გუნდების მატჩში გამარჯვებულები გამოვიდნენ მასპინძლები — 3:1.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა მატჩი სამტრედიის ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ლანჩხუთის „კოლმეურნის“ შორის. გამარჯვება მოიპოვეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა — 3:2.

თანდათან იუმჯობესებს სტუმრები მდგომარეობას რუსთავეის „სხივი“. მორიგ მატჩში იგი შეხვედრა ქიათურის მალაროულს და დაამარცხა დიდი ანგარიშით — 5:1.

II ზონა
„ბახმარო“ (ჩოხატაური)-„კოლმეურნე“ (გალი) — 2:1, „კოლხიდა“ (ხობი)-„ჩოხატაური“ (ნაკრები) — 7:3.

„სპარტაკი“ (ცხაკაი)-„განთიადი“ (ბათუმი)—3:2, „განთიადი“ (ტყვარჩელი)-გუდაუთა (ნაკრები) — 4:2.


III ზონა
„ლოკომოტივი“ (ხაშური)-„ჩაჩქერი“ (ბორჯომი) — 1:0, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა I-ორთქლ. ვაგ. შემე. ქარხ. — 0:2, „კოლმეურნე“ (ბოლნისი)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 2:1, ადგილობრივი სპორტის სამმართველო (თბილისი)-„ტორპედო“ (თბილისი) — 0:2, ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო-ორთქლ. ვაგ. შემე. ქარხ. — 1:1, „ტორპედო“ (თბილისი)-ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა II (თბილისი) — 1:1 (უკანასკნელი ორი მატჩი გაიმართა 14 მაისს).


„ტორპედო“-ორთქლ. ვაგ. შემე. ქარხ. — 3:3. (მატჩი შედგა 21 მაისს).

IV ზონა
სკოლა I (თბილისი)-„სომხითი რეზერვები“ (თბილისი) — 5:1, თრიალეთი (წალკა)-„მშენებელი“ (რუსთავი) — 0:1, „კოლმეურნე“ (ქარელი)-შახტი № 1 (ახალციხე) — 0:3.

„რემბოვი“ (თბილისი) გათამაშებდა მთისსა, მის მიერ ჩატარებულ შეხვედრაში შედეგები გაუქმებულია.

სურათი: თბილისის „ბურჯვესტნიკისა“ და ქუთაისის „ლოკომოტივის“ შეხვედრა. მომენტი თბილისელთა კართან. შეკარე რუხი იღებს მაღალ ბურთს. ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.





გამარჯვა ერთხმად!...

ნახ. გ. ფირცხალავახი.


ოთხ ჯგუფად

თბილისის ოქტომბრის რაიონის ღოსაფის ტირში ჩატარდა "განთიადის" თბილისის პირველბა მცირეკალიბრისაი შაშხანიდან სროლაში (პირველი ტური). გამარჯვებისათვის იბრძოდა 49 გუნდის 250 სპორტსმენი. თითო სპორტსმენს წოლე უნდა შეესრულებინა ათი გასროლა (50 მეტრზე). პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა, რომლებმაც 500 შესაძლებლიდან 446 ქულა მოგროვეს. მეორე ჯგუფში პირველები იყვნენ ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის (392 ქულა), მესამეში — თბილისის ავტომობილების ხელსაწყოთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (431 ქულა), ხოლო მეოთხეში — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის (381 ქულა) მსროლელები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კიროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურელებმა. მეორეზე გამოვიდნენ ავტომობილების ხელსაწყოთა კვლევითი ინსტიტუტის, მესამეზე — ფესსაკმოსნის № 1 ფაბრიკის კოლექტივები.

პირად ჩათვლაში თბილისის "განთიადის" ჩემპიონები გახდნენ კიროვის სახელობის ქარხნის წარმომადგენლები: ვაჟთა შორის — გ. პროზოროვი (95 ქულა 100-დან), ქალთა შორის ნ. კრომჩინევა (93 ქულა).

ი. რუხაძე



ტრიესტი. ახალგაზრდა იტალიელმა მოცუტრევე ქალმა სანდრა ვალემა 100 მეტრი თავისუფალი სტილით გატურა 1 წუთსა და 07,3 წამში (აუზის სიგრძე 33 მ). ეს შედეგი იტალიის ახალი რეკორდია.

ჩიკაგო. მოცუტრევე ქალმა კარინ კონმა (აშშ) 25-მეტრიან აუზში 100 იარღი თავისუფალი სტილით გატურა 1 წუთსა და 03,6 წამში, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში წელიწადში.

ბოლონია. აქ ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ავტობოლოში. პირველი ადგილი დაიკავა ცნობილმა იტალიელმა ავტობოლოსტმა ჯ. მუსომი "ფერარის" ფირმის მანქანით. მან 330 კმ განვლო საათში 161,314 კმ საშუალო სისწრაფით.

ვენა. კიდეობის ავსტრიულმა ფედერაციამ თავის ბოლო სხობაზე დაამტკიცა მოქიდავეთა სია, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობაზე რაგორც თავისუფალ ქილაობაში (სოფია), ისე კლასიკურ ქილაობაში (ბუდაპეშტი).

თავისუფალ ქილაობაში გამოვლენ: კრემზინი (უმჩატესი წონა), ვიპაზალი (მსუბუქი წონა) და სოფელკუნი (საშუალო წონა). კლასიკურ ქილაობაში მონაწილეობას მიიღებენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ვინკლერი, ბრუნერი, ბარტო, ბროტენერი, ლენგლე, ანგელბერგერი, ვისბერგერი. მიიღეს წონაში კანდიდატი ჯერ არაა შერჩეული.

ოსლო. მძლეოსნთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი ბადროს ტურტენში დაამყარა ფინელმა კ. ლონდროსმა — 54,19 მ.

ტოკიო. მძლეოსანმა კასამაცუმ განახლოვინა რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 203 სმ.

შანხაი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი რეკორდი ჯოკოი ხტომაში დაამყარა ცაი ი-შუმ — 4 მ 40 სმ.

მონტევედეო. დამთავრდა სამხრეთ ამერიკის პირველობა მძლეოსნობაში, სადაც გამარჯვება მოიპოვა ბრაზილიის ნაერებმა გუნდმა. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა მხოლოდ ერთი რეკორდი: ბრაზილიელმა ვანტასიმ ჯოკოი ხტომაში დაძლია 4 მ 23 სმ.

მილანი. ცნობილმა იტალიელმა მძლეოსანმა ა. კონსოლინიმ ბადრო ტურტენა 53 მეტრსა და 30 სანტიმეტრზე 41 წლის სპორტსმენმა განაცხადა, რომ გერმანიის პირველობისათვის იგი თავის შედეგს ვააუმჯობესებს რამდენიმე მეტრით.

ვარშავა. რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები მოცუტრევეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ქალთა: მ. კოკი (პოლანდია)—100 მ თავისუფალი სტილით—1:07,4; 400 მ თავისუფალი სტილით — 5:05,2; ლასენი (შვედია) — 100 მ ბატერფლათი — 1:16,1. ვაჟები: მილერი (უნგრეთი) — 100 მ თავისუფალი სტილით — 58,1, გერნერი (პოლონეთი) — 200 მ ბატერფლათით — 2:27,7.

ციურხი. საერთაშორისო შეჯიბრება კალათბურთში ავსტრიისა და შვეიცარიის კალათბურთულ ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის მოიგეს ავსტრიელებმა — 55:54.

ვარშავა. მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ 1960 წლიდან მსოფლიო პირველობაზე აღარ დაიშვებიან 500 კუბ. სმ. მოცულობის მოტოციკლები.

ანკარა. აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრები თავისუფალ ქილაობაში თურქეთისა და უნგრეთის გუნდებს შორის. პირველი მატირ თურქებმა მოიგეს ანგარიშით 7,5:0,5. მეორე მატჩში თურქებმა 6 შეხვედრა მოიგეს სუფთად, ხოლო ერთი — ქულებით. უნგრელებმა რევანში აიღეს კლასიკურ ქილაობაში, სადაც გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

ჩ. მოწონელიძე

რედაქტორი ი. შულაშვი.

განსავლელი არ დაინსტარდნენ

300-ზე მეტმა გოგონამ და ქაბუქმა მიიღო მონაწილეობა თბილისის მოსწავლეთა საქალაქო პირველობაში. ასეთი მრავალრიცხოვანი მონაწილე არ ახსოვს ზამთრის საცურაო აუზს. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვის სტარტზე გამოვიდა 207 მონაწილე.

გოგონებში გამარჯვება წილად ხვდა ა. შორბენიკის 1:23,7; ქაბუქებში — ლ. გიორგაძის 1:04,0. უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარ გატურებში ორივე სპორტსმენს უკეთესი შედეგები ჰქონდათ 1:21,9 და 1:02,8.

თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულმა შორბენიკიმ სამწუთიანი შესვენების შემდეგ სტარტი აიღო 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში და იქვე გამარჯვებული გამოვიდა — 1:33,0. ქაბუქებში იგივე დისტანცია აველაზე სწრაფად გატურა გ. სოტნიკოვი (37-ე სკოლა), მის მიერ ნაჩვენები დრო მორზოდლობა 1-ლ თანრიგზე უკეთესია. 200 მეტრი ზრისთა გოგონათა შორის მოიგო ლ. კრილოვი (38-ე სკოლა).

ამვე დისტანციაზე ქაბუქთა შორის უძლიერესი იყო ი. ფუნიკოვი (მე-19 სკოლა). 400 მეტრი თავისუფალი სტილით გოგონათა შორის თ. ქართველიშვილმა აველაზე უკეთ გატურა და დამისახურა გამარჯვებული სხელი. ქაბუქებიდან პირველი იყო 27-ე სკოლის მოსწავლე ვ. ჩერნიკოვი.

ბატერფლათით 100 მეტრზე შეჯიბრება გოგონებში დამთავრდა მე-19 სკოლის მოსწავლეს ა. ნარინიძის გამარჯვებით. ქაბუქთა შორის 200 მეტრზე ბატერფლათით, რაგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვა რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოცუტრევემ ლ. გიორგაძემ. 1500-მეტრიან დისტანციას მხოლოდ ოთხმა ქაბუქმა შეძედა. ძნელი გამარჯვება ხვდა წილად 43-ე სკოლის მოსწავლეს ი. გორდიენკოს.

ყურადღებას იქცევს ის დაუღეპრობა, რაც ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა განაცხადების წარმოდგენისას. ქალაქის ნავთობწარმოებულ ნაწილებზე ნაჩქარეულ შედგენილ განაცხადები წარადგინეს 32-ე, 51-ე, 35-ე და მე-60 სკოლებიდან. 47-ე სკოლიდან კი (ფაბრიკის მასწავლებელი ტატოშვილი) გულმოდგინედ შედგენილ განაცხადში, სადაც შეტანილი იყო 54 მონაწილე, ნაჩვენები არ იყო ვინ რა დისტანციაზე მიიღებდა მონაწილეობას. ამ შეცდო-

მის გამოსწორება კიდეც მოხერხდებოდა უმუშაოდ შეჯიბრების წინ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ 54 მონაწილიდან შეჯიბრებაზე გამოცხადდა მხოლოდ ერთი — თ. ქართველიშვილი, რომელიც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში მოხვდა, მაგრამ სტარტზე აღარ გამოცხადდა.

შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ დისტანციის დარღვევის შემთხვევებს. ამ მხრივ ყველას გადააქარბა მე-17 სკოლის მოსწავლე ა. კაკაუტდიძე.

ა. ბარნოვი

შეხვედრა სახელობის სპორტსმენთა

ამას წინათ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში სტუდენტთა საქალაქო კლუბმა მოაწყო დღეის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღმზრდელთა და მოსწავლეთა შეხვედრა ცნობილ სპორტსმენებთან ვ. ბალავაძისთან და ლ. სანაძისთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სტუდენტთა საქალაქო კლუბის დირექტორმა ი. ფირცხალავამ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვ. ბალავაძემ დამსწრეთ მოუთხრო თავისი სპორტული ცხოვრების შესახებ. შემდეგ საინტერესოდ ჩატარდა საუბრები, სადაც ვ. ბალავაძე და ლ. სანაძე დაწერილებით უამბეს მოსწავლეებს თავიანთი მიღწევების შესახებ. დასასრულს ნაჩვენები იქნა სპორტული კინოფილმები. ი. კოლოკავე

სვანდი ყუჩარლევას საქიროებს

ბათუმში კარგახანია არსებობს სასანგრო და მრგვალი სტენდის კომბინირებული მიედნები. თუ მრგვალი სტენდი ასე თუ ისე აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სამაგიეროდ, ვერაერთარ კრიტიკას ვერ უძლებს სასანგრო მიედანი, რომელიც თანამედროვე სტანდარტზე გადაკეთებას საჭიროებს, არ ვარგა სამიზნეთა სატყორცი მანქანები, სტენდზე დღემდე არაა უბრალო თავშესაფარი, პავილიონზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აღნიშნული მდგომარეობა კარგადაა ცნობილი "აქტივობაში" მუშაებისათვის, მაგრამ ბაზის წესრიგში მოყვანისათვის თავს არ იწუხებენ. სწორედ ამიტომ აქაური სპორტსმენები არარეგულარულად ვარჯიშობენ. არავითარი მუშაობა არ სწარმოებს დამწეებ მესტენდურებთან. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ბათუმში უიანასკნელ წლებში ძლივს შეძლეს ერთი პირველ-თანრიგისანი სპორტსმენის მომზადება.

გასულ წელს "აქტივობის" ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხიდან მხოლოდ ოცი პროცენტის ათვისება შეძლო და მხოლოდ ორ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო მთელი მისი საქმიანობა. მონაკვეთის რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაზე კი გუნდი არ გამოიყვანეს.

აქარელ მესტენდურებს სუსტად ეხმარება საქართველოს "მონაკვეთის" გამგეობა. ხშირად დავიანებით და არასტანდარტულ ინვენტარს უგზავნიან. აქარაში სპორტის ამ სახეობის

განვითარებისათვის არასათანადოდ ზრუნავს ფიზკულტურის კომიტეტი, აქ დღემდე არაა შექმნილი საზოგადოებრივი სექცია, რომელიც კონტროლს გაუწევდა მესტენდურეთა საქმიანობას, იზრუნებდა მისი მასობრიობისათვის. ერთი წელი დარჩა საბჭოთა კავშირის ხალხთა

II სპარტაკიადამდე, რომლის პროგრამაში შეტანილია სასტენდო სროლა და, რა თქმა უნდა, იგი შეეკრეს რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაშიც, ამიტომ აქარელ სპორტსმენებს უნდა ჰქონდეთ სათანადო პირობები.

ჩ. მოწონელიძე

Advertisement for a book titled "თბილისის „გურიკანტნიკის“ სტადიონი 31 მაისს და 1 ივნისს". The text includes: "სტადიონის ჰიდროგეოლოგის", "მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.", "შეჯიბრებაში მონაწილეობან დადაქალაქის უპლიკრისი მოგოსიკლისგაბი დასაწყისი 5 საათსა და 30 წუთზე." There is an illustration of a hand holding a large book.